


საჯარო
აუდიტის
ინსტიტუტი

2019-2020 წლებში საჯარო სექტორში დამოუკიდებელ აუდიტორთა მიერ განხორციელებული აუდიტორული საქმიანობის მიმოხილვა

**საჯარო სექტორში აუდიტორული საქმიანობის განხორციელების
უფლება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორებსა და საჯარო
აუდიტის ინსტიტუტის მიერ სერტიფიცირებულ პირებს აქვთ.¹**

- ▶ საჯარო აუდიტის ინსტიტუტის სერტიფიცირებულ აუდიტორთა ერთიან ბაზაში 2016-2021 წლების მონაცემებით 216 სერტიფიცირებული აუდიტორი ფიქსირდება, მათგან აქტიურ აუდიტორულ საქმიანობას 34 პირი ახორციელებს.

სერტიფიცირებულ აუდიტორთა საქმიანობის სტატუსი



- ▶ საჯარო ფინანსების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების და მიზნობრიობის დასადგენად საჯარო სექტორში სამი სახეობის აუდიტი ხორციელდება:

ფინანსური აუდიტი
აუდიტი ამოწმებს
საჯარო დაწესებულების
ანგარიშსა და
ანგარიშგებას,
შიდა კონტროლისა
და შიდა აუდიტის
ფუნქციონირებას.

შესაბამისობის აუდიტი
აუდიტი ამოწმებს
და აფასებს საჯარო
დაწესებულების
საქმიანობის
კანონიერებასა და
მიზნობრიობას.

ეფექტიანობის აუდიტი
აუდიტი აფასებს
საჯარო რესურსების
გამოყენებისა
და მართვის
ეკონომიურობას,
პროდუქტიულობას და
ეფექტიანობას.

¹ საქართველოს ორგანული კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“, მუხლი 36, პუნქტი 4.



2019-2020 წლებში დამოუკიდებელი აუდიტორების/ფირმების მიერ 542 საჯარო უწყება შემოწმდა, მათ შორის, 85 – მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება, რომლებიც ყოველწლიურად ვალდებულნი არიან სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მიაწოდონ გასული წლის აუდირებული ფინანსური დეკლარაცია დამოუკიდებელი აუდიტორების/ფირმების დასკვნასთან ერთად.²


2019 წელი

- ▶ აუდიტორული მომსახურების შეძენის მიზნით, საჯარო უწყებებმა 106 ტენდერი გამოაცხადეს და 1435 გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება გაფორმდა. აქედან, 262 შემთხვევაში აუდიტის განხორციელება მხოლოდ საჯარო სექტორის სერტიფიცირებულ აუდიტორს შეეძლო;
- ▶ დამოუკიდებელი აუდიტორების/ფირმების მიერ საჯარო სექტორში ჩატარებული აუდიტების რაოდენობა 292 ერთეულს შეადგენს, მათ შორის, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების – 30 აუდიტი, ხოლო აუდიტორულ მომსახურებაში გადახდილი თანხა, მინიმუმ³, 1 689 068 ლარია.

2020 წელი

- ▶ აუდიტორული მომსახურების შეძენის მიზნით, საჯარო უწყებებმა 98 ტენდერი გამოაცხადეს და 1100 გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება გაფორმდა. აქედან, 195 შემთხვევაში აუდიტის განხორციელება მხოლოდ საჯარო სექტორის სერტიფიცირებულ აუდიტორს შეეძლო;
- ▶ დამოუკიდებელი აუდიტორების/ფირმების მიერ საჯარო სექტორში ჩატარებული აუდიტების რაოდენობა 250 ერთეულს შეადგენს, მათ შორის, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების – 55 აუდიტი, ხოლო აუდიტორულ მომსახურებაში გადახდილი თანხა, მინიმუმ, 1 367 801 ლარია.

საჯარო სექტორში განხორციელებული აუდიტების რაოდენობა 2019-2020 წლებში



² საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“, მუხლი 32, პუნქტი 1.

³ მონაცემები წარმოდგენილია კვლევითი შებენიანობის გათვალისწინებით. რიგ შემთხვევებში ვერ მოხერხდა ფინანსური მონაცემების მოძიება.

**2019-2020 წლებში დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ
ჩატარებული აუდიტებით ცენტრალურ, ავტონომიურ და
თვითმართვად დონეებზე საბიუჯეტო სახსრების, სახელმწიფო
საწარმოებში აქტივების და შემოსავლების, ხოლო პოლიტიკური
გაერთიანებების შემთხვევაში, ფაქტობრივად განეული აუდიტებული
ხარჯების ოდენობები იქნა დათვლილი.**


2019 წელი

- ▶ აუდიტებული საბიუჯეტო თანხები ცენტრალური, თვითმართვადი და ავტონომიური დონეების მიხედვით, მინიმუმ, 323 557 841 ლარია;
- ▶ 43 სახელმწიფო საწარმოს, მათ შორის, საზოგადოებრივი დაინტერესებული პირების (სდპ), აუდიტებულმა საკუთარმა შემოსავალმა – 1 935 612 501 ლარი, ხოლო აქტივებმა 8 736 970 285 ლარი შეადგინა;
- ▶ 30 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების აუდიტებულმა თანხამ 20 995 155 ლარი შეადგინა;
- ▶ საჯარო უწყებებში განხორციელებული 292 აუდიტიდან 275 ფინანსური აუდიტი იყო, 16 – შესაბამისობის, ხოლო 1 – ეფექტიანობის.

2020 წელი

- ▶ აუდიტებული საბიუჯეტო თანხები ცენტრალური, თვითმართვადი და ავტონომიური დონეების მიხედვით, მინიმუმ, 434 426 633 ლარია;
- ▶ 34 სახელმწიფო საწარმოს, მათ შორის, საზოგადოებრივი დაინტერესებული პირების (სდპ), აუდიტებულმა საკუთარმა შემოსავალმა 579 648 881 ლარი, ხოლო აქტივებმა – 2 829 559 550 ლარი შეადგინა;
- ▶ 55 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების აუდიტებულმა თანხამ 71 170 856 ლარი შეადგინა;
- ▶ საჯარო უწყებებში განხორციელებული 250 აუდიტიდან 235 ფინანსური აუდიტი იყო, 12 – შესაბამისობის, ხოლო 3 – ეფექტიანობის.

2019-2020 წლებში საჯარო სექტორში განხორციელებული აუდიტის ტიპები



	2019	2020
ფინანსური	275	235
შესაბამისობის	16	12
ეფექტიანობის	1	3

■ ფინანსური ■ შესაბამისობის ■ ეფექტიანობის